№ 182

ოთხშაბათი, 25 აგვისტო, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 182

ოთხშაბათი, 25 აგვისტო, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ქართულმა დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ

**რეპერტუარის განსაახლებლად** დანიშნა პიესებისათვის

## სამი პრემია: 120, 80 და 50 მანეთი

ხოლო გადმოკეთებულ პიესებისათვის: **50, 30** და **20** მან.

ამისათვის მოიწვევს ქართველ მწერლებს წარმოადგინონ თავიანთი დრამატიული ნაწარმოებნი, რომლებიც განხილული იქმნებიან გამგეობისა და მის მიერ მოწვეულის პირების თანდასწრებით და საუკეთესო პიესებს დაენიშნება ღირსების დაგვარად ზემოხსენებული პრემია.

პიესები უნდა გამოიგზავნოს გამგეობის სახელზე არა უგვიანეს 15 ენკენისთვემდე და ავტორებისაგან ხელმოუწერელნი უნდა იყვნენ, ხოლო სახელი და გვარი ცალკე დაბეჭდილს კონვერტში უნდა იყოს მოხსენებული და ეს კონვერტი პიესასთან ერთად წარმოდგენილი. (6—6)

სასწავლებელი და პანსიონი

## გ. ლ. კუზანოვისა

ბებუთოვის ქუჩა (უწინდელი სადავოი) სოლოლაკში, სახლი ექიმის ქოჩორიანცისა № 50.

ამზადებს მოსწავლეებს გიმნაზიებსა, რეალურ სასწავლებლებსა, კადეტთა კორპუსებსა და სხვაგან შესაყვანად.

მოსწავლეების მიღება პანსიონში მოხდება 24 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. (7—139—3)

ქართულის დრამატიულის საზოგადოების გამგეობა

სთხოვს იმათ, რომელთაც სურვილი გამოაცხადეს გამოსაცდელ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებისა, მობრძანდნენ ქართულ თეატრში 29 ამა აგვისტოს, როდესაც მათ დაურიგდებათ როლები და ამავე დღიდგან დაინიშნება რეპეტიციები. (5—უ.—5)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**გ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. ბურგი.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** 7½—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ახალი ამბავი

*** ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ აირჩია საქალაქო სასწავლებელთა უმცროს მასწავლებლებად შემდეგი ქალები: ე. მ. როოპისა—ავლაბრის 1-ლ სასწავლებელში, მ. გ. ალიბეგოვისა—ავლაბრის მე-2 სასწავლებელში, ს. გ. ყანდაუროვისა—კუკიის მე-2 სასწ. ე. ა. ქილიაევისა —ჩუღურეთისაში, ო. ს. პეროვა-სტეფანოვისა— ვერის 1-ლ სასწავლებელში, ე. ს. ტურსკისა—ვერის მე-2 სასწ., რ. დ. ხატისოვისა —კუკიის (დიდუბის) მე-3 სასწ., და ა. გ. კირაკოზოვისა—ვერის საქალებო სასწავლებელში.

23 აგვისტოს გამგეობამ სთხოვა ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებელთა დირექტორს დამტკიცებულ იქმნან ხსენებული ქალნი უმცროს მასწავლებლებად.

*** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ადგილ-მამულთა გასამიჯნავ და მოსაწყობ სამუშაოთა რევიზორი დ. ს. ს. ბელენკოვი, რომელთაც გამოგზავნილია კავკასიაში მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო გლეხთა ადგილ-მამულების მოსაწყობ სამუშაოთა გასაცნობად და ადგილობრივ იმ საქმეთა გამოსარკვევად, რომელთაც კავშირი აქვთ ამიერ კავკასიის სახელმწიფო გლეხთა ადგილ-მამულების საჩქაროდ მოწყობასთან.

*** 21 აგვისტოს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ტ. ს. იანოვსკიმ, საერო განათლების სამინისტროს იურისკონსულტ ბ-ნ მამონტოვთან ერთად, დაათვალიერა ტფილისის საშუალო სასწავლებლები.

*** 23 აგვისტოს მოხდა ქალაქის სასანიტარო კომისიის სხდომა. კომისიამ შეიმუშავა ზომები ქალაქის დასასუფთავებლად. ტფილისის გუბერნატორმა უკვე ნება დართო ხსენებულ კომისიას მოქმედება დაიწყოს ქალაქში შავი ჭირის შემოტანის საწინააღმდეგოდ.

*** მიწად-მოქმედების სამინისტროს 500 მან. გადაუდვია იმ გლეხთა დასაჯილდოებლად ფულით და სამეურნეო იარაღით, რომელნიც სექტემბერში მონაწილეობას მიიღებენ საპალოსნო საზოგადოების გამოფენებში ბაქოსა, ქუთაისსა, სოხუმსა და სტავროპოლში.

*** 23 აგვისტოს 1-ლ კლასიკურ გიმნაზიის მოსწავლე-პანსიონ ნერები მანგლისიდგან ტფილისს ჩამოვიდნენ.

*** ქართლ-კახეთის საეპარქიო სასწავლებელთა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის უმაღლესის მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ გადადებულ იქმნას ამიერ კავკასიის საერო ფულიდგან დამატებითი კრედიტი 5,000 მან. საქართველოს საექსარხოსო სამრევლო სკოლების შესანახად.

*** სასანიტარო ინსპექტორმა შეატყობინა ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდ. აღმასრულებელს, რომ ქალაქის საყასბოზედ, ქალაქის გამგეობის სავალდებულო დადგენილებათა წინააღმდეგ, საქონლის დამკვლელთ უსუფთაოდ აცვიათ, არა აქვთ აფარებული ტყავის წინ-საფარიო და სხვ. და ამიტომ სთხოვა, დაავალეთ საქონლის დამკვლელთ დაიცვან სავალდებულო დადგენილებანი და ამასთან გააძლიერეთ პოლიციის ზედამხედველობა ქალაქის საყასბოზედ წეს-რიგის დასაცველადაო.

*** პოლიციის ბოქაულებმა შეადგინეს იმ სახლის პატრონთა სიები, რომელთაც, საბჭოს სავალდებულო დადგენილებათა თანახმად, ქვაფენილები არ გაუკეთებიათ თავიანთის სახლების წინ. საბჭოს სავალდებულო დადგენილებანი არ აუსრულებია, სხვათა შორის, ქალაქის გამგეობასაც-კი, რომელსაც ქვაფენილები არ გაუკეთებია ქალაქის ბაღების გარშემო და ქალაქის სხვა ადგილებში. ეს სიები წარედგინება ტფილისის გუბერნატორს განკარგულების მოსახდენად. განზრახვა აქვთ გააკეთონ ქვაფენილები სახლის პატრონთა და ქალაქის ხარჯზედ.

*** გარდაწყვეტილია, რომ ამიერ კავკასიაში მევენახეობის გასაძლიერებლად, საფილოქსერო კომიტეტის მოქმედება გავრცელებულ იქმნას არა მარტო მევენახეობაზედ, არამედ ყველა სხვა სამეურნეო დარგზედაც. ამ საქმის შესასრულებლად, როგორც „სინ. ოტეჩ." იუწყება, კომიტეტს განზრახვა ჰქონია დანიშნოს განსაკუთრებული აგრონომები, რომლებმაც მუდმივ ამიერ კავკასიაში უნდა იცხოვრონ დანიშნულ ადგილებში.

*** როგორც მოხსენებული გვქონდა, ქუთაისის საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ გააუქმა ბათუმის ქალაქის საბჭოს დადგენილება კვირაუქმე დღეებში ნოქართა დასვენების შესახებ. ეს განკარგულება საკრებულოს იმ მოსაზრებით მოუხდენია, რომ საქალაქო დებულების ძალით ქალაქის საბჭოებს მხოლოდ უფლება აქვთ, რომ განსაზღვრონ კვირაუქმე დღეებში სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა გაღების და დაკეტვის დრო-ჟამი.

*** ბორჯომიდგან „ტფ. ფ."-სა სწერენ: ამ დღეებში აქ შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა: სასტუმროს „საბერძნეთის" ჭაში წიწილა ჩავარდა. წიწილას ამოსაყვანად ჭაში, რომელიც ძალიან ღრმა არის, ჩაუშვეს თოკით სასტუმროს მსახური 16 წლის ყმაწვილი ალექსანდრე ჩიკვაიძე. რამდენისამე წუთის შემდეგ ჩიკვაიძე მკვდარი ამოიღეს ჭიდგან. საბრალო ბავშვი ჭაში დამრჩვალიყო.

*** „ტფ. ფ."-ს აუწყებენ, რომ კავკასიაში საერო განათლების მინისტრის ბოგოლეპოვის ჩამოსვლა გადადებულ იქმნა, რადგან ამ ჟამად მინისტრი შიდა რუსეთის სამოსწავლო ოლქების დათვალიერებას შეუდგება.

*** ს. საგარეჯო. აგვისტოს 15-ს აქაურ წიგნთ-საცავის სასარგებლოდ წარმოდგენა გაიმართა აქ. წარმოადგინეს „ხანუმა" და „ჭკუისა მჭირს".

*** სოფ. თეკლათი, (სენაკის მაზრა). თითქმის ერთს თვეზე მეტია, რაც თეკლათის საზოგადოების ზოგიერთ სოფლებში მძვინვარებს მუცელა. დიდები როგორც არის უძ-

## ფელეტონი

### „თითქო ავადა ვარო?!."

(პაწია ამბავი)

I

— პელო, შენმა მზემ, ჰაერის გამოცვლა გარგებს... განა საიმისო რა გჭირს, რომ ინაზები?!. ავჭალა აქვე არ არის, ვითომ მუშტაიდში გაგისეირნია...

— ნაბიჯის გადადგმაც არ შემიძლიან, ვერა მხედავ, რა ცუდ ფერზე ვარ... რო წამოგყვე, ტყვილად შენც შეგაწუხებ და ვერც მე ვისია მოვნებ... არც ექიმი მირჩევს: სეირნობას—მოძრაობას ერიდეო, ძარღვების აშლა იცისო...

— ჰმ! ახირებული კაცი ყოფილა ეგ შენი ექიმი: სეირნობამ კი არა, მარტოობამ იცის ფიქრი და ძარღვების აშლა...

— დაცდილი მაქვს და მენიშნება კიდეც: როცა ჩუმათა ვარ, კარგათა ვგრძნობ ჩემს თავს, როცა-კი ვლაპარაკობ, მაშინ-კი...

— მაშ მეც დავჩუმდე, ისა სჯობია. შენ რომ შენ ექიმს ყური დაუგდო, კლდეზედ გადაგაგდებს: შესაძლებელია, ისიც გირჩიოს ქმარს თავი დაანებეო და უნდა დაუჯერო?!.

— შენ თუ არ გადაასხვაფერე, ხომ არ შეიძლება... აი, ეხლა ლაპარაკმა გული გამიწვრილა და ექიმი როგორ გავამტყუნო?..

პელო სავარძელზედ გადაწვა და თავი ისე მოიღერა, თითქო უნდა სთქვას: „მალე მომშორდი თავიდამაო..."

შაქრომაც გაუგონა ფილენჯებიან ცოლს პელოს და შეუდგა მგზავრობის თადარიგს... . . . . . . . . . . .

II

შაქრო სახლიდგან გამოვიდა და სადგურისკენ წამოვიდა. უეცრად შხაპუნა წვიმამ დაუშვა და შაქრომ არ იცოდა რა ექმნა: არც ეტლი სჩანდა, არც ქოლგა ჰქონდა და რომ არ გაწუწულიყო, იქვე მახლობელს სასტუმროს კარების ქოლგას შეეფარა.

შაქრო ადრე გამოვიდა და დაგვიანებისა არ ეშინოდა, უფრო-კი სხვა დარდ-ვარამის ზეწარი გადაჰკროდა სახეზედ: ისე ჩაფიქრებულიყო, თითქო თავის ცოლის სიტყვებს ეხლა სჯისო; ისე იკვნეტდა ტუჩ-თითებს, თითქო რაღასაც ნანობსო...

— არა, არა! წაიდუდღუნა შაქრომ: მე ცოლით ბედნიერი ვარ, ცოდვაც-კია ეჭვი შევიტანო, ანუ ვიფიქრო რამ...

— სცდები, სცდები, უჩურჩულებდა უჩინარი რაღაც საიდუმლო ხმა: ცოლმა გიმტყუნა და უბედური ხარ...

რომ ველარ შესძლო არეულ გონებასთან ბრძოლა, აიღო თავი და თექო მოხსნილი წამოიწია, სულ დაავიწყდა, რომ სწვიმდა.

ისევ უკან დაიწია და რაღასაც ყურიათხოვა: ამ სასტუმროსაკენ წამოხურული ეტლი მოხრიალებდა.

ეტლი სასტუმროს კარებთან დადგა და იქიდგან ვიღაც ქალ-ვაჟი გადმოხტა...

შაქრომ შეაჭყიტა თვალები და ისე დაიბნა, თითქოს თავში ჩაარტყესო...

— პელო! შენ აქ რა გინდა? მწარედ წაილუღლუღა შაქრომ: „თითქო ავადა ვარო?!."

ქალ-ვაჟნი ჯერ გაიტურნენ და მერე ისე მოჰკურცხლეს სასტუმროსაკენ, თითქო ამბობდნენ: „ესეც ავადმყოფობააო..."

შაქრო გაშტერებული იდგა და არ იცოდა რა ექმნა: მტკვარში გადავარდნილიყო, თუ შინ წასულიყო?!.

დუშელი ვანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებენ ამ სენს, მაგრამ ბავშვები ბლომათ იმსხვერპლა.

წრევანდელ ჰირნახულის შესახებ ჯერ-ჯერობით არც ავი გვეოქმის და არც კარგი. პირველად კარგი პირი უჩნდა მოსავალს, მაგრამ ივლისის გადაჭარბებულმა გვალვამ დიდი ზიანი მიაყენა სიმინდს, ღომს, ლობიოს და სხვ. ამ ზაფხულს კვლავ თავი იჩინეს წვრიმალმა ქურდებმა. მომეტებულ ნაწილად იპარვენ შინაურ პირუტყვს.

*** პოლიციის მე-III ნაწილის ბოქაულის თანაშემწის გედევანიშვილის განკარგულებით, 22 გვისტოსა პოლიციის მოხელეთ 18 ჯიბგირი შეიპყრეს ტრაქტირებსა და ლუდ-ხანებში.

*** ტფილისის ქალაქის საყასბოსთან ბაკი უკვე გაჰმართეს და ამ მოკლე ხანში კიდეც დაიწყებენ საქონლის დაყენებას.

*** კვირას, 22 აგვისტოს, ღამის 11 საათზედ, იარმუკაში მოჰკლეს მთავარმართებლის კანცელარიის ტიპოგრაფის მუშა ფიდო ჯიოშვილი. ამ რამდენისამე დღის წინად ფიდო ჯიოშვილის განცხადებით, პოლიციას შეუპყრია ქურდობისათვის ერთი კინტო. აი ამ გარემოების გამო ჯიოშვილს იარმუკაში თავს დასხმიან 5—6 სხვა კინტო და ალბად შურის საძიებლად ჩხუბი აუტეხნიათ. ჩხუბის დროს ერთს კინტოს, თბილიშვილს, ორსავე ფერდში მძიმედ დაუჭრია დანით ფ. ჯიოშვილი, რომელიც ჭრილობისაგან კიდეც გარდაცვლილა, ვიდრე საავადმყოფოში მიიყვანდნენ, მკვლელი პოლიციამ იმავე დღეს შეიპყრო.

---

## წერილი ხაშურიდგან.

ამ 30 წლის წინად ხაშური მხოლოდ პატარა ღარიბი სოფელი იყო. მაგრამ გამოიარა აქ რკინის გზამ და აშენდა რკინის გზის დიდი სადგური, რომელსაც უწოდეს დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის პატივის ცემის ნიშნად — „მიხაილოვო". დღეს ეს სადგური ქალაქს მოგაგონებთ: ეს შუა ადგილია ზემო ქართლისა; მთავრობამ დაბა სურამიდგან აქ გადმოიტანა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა და, როგორც ისმის, იქიდგანვე უნდა გადმოვიდეს მომრიგებელი სასამართლო და ნოტარიუსის კანტორა. სურამელებს თხოვნა მიურთმევიათ მთავრობისათვის — ნუ გადაიტანთ აქედგან ამ დაწესებულებათო, მაგრამ როგორ დაბოლოვდება საქმე, არ ვიცით. სურამიდგანვე წელს აქ გადმოიტანა აფთიაქი პროვიზორმა ეფშტეინმა. აქვე აშენებს რკინის გზის გამგეობა მოსამსახურეთა საცხოვრებლად დიდ შენობებს, რაიცა მოსამსახურეთა სიმრავლის ნიშანია. აქვე უკვე გაიმართა ნავთისთვის დიდი რეზერვუარები, საიდგანაც მანქანების შემწეობით მილებით პირდაპირ ბათუმში გაუშვებენ დაწმენდილ ნავთს. აქვე არსებობს რკინის გზის ორ კლასიანი სასწავლებელი, რომელიც, როგორც ამბობენ, ოთხ-კლასიან სამოქალაქო სასწავლებლად უნდა გადაკეთდეს. უკმაო ამ სიკეთესთან დიდი ნაკლიც აქვს ხაშურს: ერთი რომ, წიგნთ-საცავი არ არსებობს აქ, და მეორე ისა, რომ სასმელი წყალი მეტად მდარე ღირსებისაა. ეს წყალი, რომელსაც აქაურ მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი სვამს, მილებით არის გამოყვანილი ბინძურ სურამულადგან. ბევრი მაგალითი ყოფილა, რომ წყალს ონკანიდგან გველიც გამოჰყოლია, ჭია-ღუას ხომ ანგარიში არა აქვს. წარსულ დღეებშიაც რკინის გზის ერთმა მოხელემ, როცა იგი ონკანს მიეყუდა და წყალს სვამდა, უცბად იგრძნო, რომ ყელში რაღაც ჩაეჩხირა. თურმე გველი ყოფილიყო, რომელსაც საჩქაროდ კუდში მოასწრო ხელი და მიწაზე დაანარცხა. მეორეჯერაც ამნაირადვე ცინაღამ ჩაჭყვა გველი რკინის გზის დეპოს ერთს მემანქანეს. ყველასათვის ადვილი მისახვედრია, რომ ასეთი წყალი მეტად მავნებელი უნდა იყოს ადამიანის ჯან-მრთელობისათვის. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ აქაური ჰავა მეტად კარგია, რკინის გზის მოსამსახურეები ხშირად ხდებიან ავად, რაც რკინის გზას მეტად ძვირად უჯდება. ახლა, როგორც გავიგეთ, ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევია პატივცემულ ინჟენერს ბ ნს მუატს, რომელსაც უკვე გეგმა შეუდგენია და ამ ცოტა ხანში აპირებს თურმე სასმელი წყლის გამოყვანას ს. ქვიშხეთიდგან. ხსენებული წყალი გამოდის რკინის გზის გვირაბში და, როგორც ამბობენ, ძალიან მარგებელია ადამიანისათვის.

სტ. ნოზაძე

---

## არქეოლოგიური კრება კიევში

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ამ მოკლე ხანში კიევში მოხდა არქეოლოგიური კრება, რომელსაც დაესწრო ჩვენი ახალგაზდა პროფესორი ალ. ხახანაშვილი. სწორედ დიდად სასახელოა ბ-ნი ხახანაშვილისთვის, რომ თითქმის არც ერთ საყურადღებო კრებას არ აკლდება — არც რუსეთში და არც საზღვარ გარედ. ბ-ნ ალ. ხახანაშვილის დასწრება მით უფრო საინტერესო და სასარგებლოა, რომ მუდამ საქართველოს შესახებ წაიკითხავს ხოლმე რასმე და ამით საზოგადოებას აცნობს ჩვენის ქვეყნის ამა თუ იმ მხარეს. კიევის გაზეთებში დიდი ხანია გამოცხადებული იყო, რომ ბ-ნი ალ. ხახანაშვილი მოხსენებას წაიკითხავსო. ჩვენც დიდის ალტაცებით მოველოდით ახალგაზდა პროფესორს. მოვიდა კიდეც ბ-ნი ხახანაშვილი, მაგრამ ჩვენ იმედს ცინაღამ შავი ბურუსი შემოეხვია. ნოვოროსიისკში ჩამოსულიყო თუ არა ბ-ნი ხახანაშვილი, ვიღაც ბოროტ-მომქმედს იმის „ჩემოდანი" მოეპარა, რომელშიაც არხეოლოგიურ კრებისთვის დამზადებულ მოხსენების გარდა, სხვა ხელნაწერებიც ბევრი ჰქონოდა, განსაკუთრებით „история грузинской словестности"-ს მესამე ტომის მასალა. ამ გარემოებამ დიდად შეაწუხა ბ-ნი ხახანაშვილი, უკანასკნელზე არა ნაკლებ ჩვენც, მაგრამ მისმა გულწრფელმა სურვილმა თავისი გაიტანა. ბ-ნი ხახანაშვილი ჩაუჯდა და კიევშივე დაამზადა მოხსენება, რომელიც საზოგადოების კრებაზედ წაიკითხა კიდეც.

ბატონ ხახანაშვილის მოხსენება შეეხებოდა განსაკუთრებით ანტონ კათალიკოზის ცხოვრებასა და შრომას. ორატორი ამბობდა, რომ ანტონ კათალიკოზი სულითა და გულით მოწადინებული იყო კათოლიკობა მიეღო თითონ და მასთან ერთად მთელს საქართველოსო. წინაალმდეგი აზრი შეცდომა არისო. ანტონ კათალიკოზის ცნობილი მზამეტყველება დამყარებულია ისტორიისა და მამათა სწავლაზე. მზამეტყველების ავტორის უმთავრესი აზრი იყო წინაალმდეგობა გაეწია მწვალებლობისთვის და განსაკუთრებით სომხების მოქმედებისთვის, რომელიც ძალა უნებურად იქცევდა ყურადღებას. ბ-ნ ხახანაშვილის აზრით მზამეტყველება ისეთის ცოდნითა და ხელოვნებით არის დაწერილი, რომ დღესაც თამამად შეუძლიან იმის ავტორს თავისუფლად მიიღოს ღვთის მეტყველების დოქტორის ხარისხი მხოლოდ ამ ნაწარმოების წყალობითო. შემდეგ შეეხო ანტონ კათალიკოზის გრამატიკას. ესეც შესაფერად მოიხსენია ბ-ნმა ხახანაშვილმა და დასძინა, რომ ღირსებასთან ერთად ზოგი ახირებული ნაკლიც აქვსო, როგორც, მაგალითად, ზოგიერთი ანბანების გამოგონა ქართულ ენაში ꝺ შემასმენელობითი ბრუნვის შემოღება ꝺ სხ. მოხსენება საინტერესო იყო. სასურველია, ამ კითხვას ბ-ნი ხახანაშვილი ჩვენს ლიტერატურაში შეეხებოდეს ვრცლად და დაგვიხატავდეს მთელს სურათს ანტონ კათალიკოზისას.

კიევის არქეოლოგიური კრება არ იყო ისეთი, როგორსაც საზოგადოდ მოელოდნენ. თუმცა 600 წევრზედ მეტი დაესწრო, მაგრამ სიცხოველე აკლდა. რაც უნდა იყოს, ასეთს კრებებს მაინც დიდი სამეცნიერო-საზოგადო მნიშვნელობა აქვს. კრებებზედ გამგეობ-ხელმძღვანელობდა გრაფინია უვაროვისა. არქეოლოგიური კრებები უნივერსიტეტის დარბაზში ხდებოდა.

მალაქია ბოლქვაძე

---

## სიტყვა, თქმული ქიზიყის გლადოჩინის მღვდლის კირილე ღვთისავაროვის მიერ ს. ქ.-მაჩხაანის ქსენონის კურთხევის დროს, 12 აგვისტოს 1899 წელს.

კაცი გვირგვინია ქმნილებისა. ღმერთმა ყველა კაცს მისცა ნიჭი განვითარებისა, რომლითაც იგი გაირჩევა ცხოველებისაგან. ყველა ერმა ერთნაირად როდი გამოიყენა ეს ღვთისაგან მინიჭებული მადლი; ზოგი მეტად განვითარდა, ზოგი-კი ნაკლებად. პირველნი მისაბაძავნი არიან მეორეთაგან. პირველებმა, სხვათა შორის, შეამუშავეს და განავითარეს სამკურნალო მეცნიერება.

მნიშვნელობა სამკურნალო მეცნიერებისა განათლებულ ერთა მიერ ძლიერ კარგად არის შეგნებული, რომაელნი იტყოდნენ „საღ სხეულში საღი ჭკვა არისო", ქრისტიანობაც კაცობრიობის ჯანმრთელობისათვის საჭიროდ რაცხდა მკურნალობას და პატივს სდებდა მას, ვინაიდგან ჯანმრთელ კაცს შეუძლიან უფრო მეტად გასწიოს შრომა თვის და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

თვით მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე იყო მკურნალი, ბრმებს თვალებს უხელდა, კუტებს ფეხებს ადგმევინებდა, წყალმანკებს არჩენდა, განრღვეულებს და სხვა გვარ სენით შეპყრობილთ ჰკურნავდა, სულით ავათმყოფებს და ეშმაკეულთ სრულს ჭკვა-გონებას აძლევდა და სხვა.

გონივრული მკურნალობა ჩვენი ქიზიყისათვის იყო და არის ფრიად საჭირო, მაგრამ ნაცვლად ასეთის წამლობისა და მეცნიერებით შეიარაღებულ ექიმებისაგან დარიგების მიღებისა, აქ ასრულებენ და სავსებით მისდევენ მკითხავებსა და მატყუარა ექიმბაშების მოძღვრობა-ქადაგებას.

ვინ არ იცის, რამდენი ადამიანი შექმნილა მსხვერპლი ამისთანა უმეცარი პატრონობა-წამლობისა; რამდენი უბედურება დატრიალებულა მეთის რჩევა-დარიგებით, მათის, ვითომცდა, უებარი წამლობით; რამდენს ავათმყოფს თელეთის და გავაზის გზაზედ ამოსვლია უდროვოდ სული; რამდენი უძლური გამოსალმებია ამ წუთის სოფელს ს. ანაგის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიასთან ზღუდეში.

ესეც ხომ ცხადია, რომ ყოველ წლობით ქიზიყიდგან 100—300 ურემი, გაჭედილი თეთრ კაბა, გულზედ შანა შებმულ დედაკაცებით, მიდის თელეთს, ეგრედ წოდებულ სადეკანოზო ჯვრებით მკერდზედ ჩამოკიდებულ დედაკაცების წინამძღოლობით. რამდენი იღებს ამ ღლისთვის ვალს ცხვარ-კურატების საყიდლად, რომელნიც თელეთს უნდა დაჰკლან! რამდენი ადამიანი სცდება დღიურ ლუკმა პურის საშოვარ სახსარს — მუშაობასა! ამ გვარად ქიზიყს ყოველ წლობით ათი ათას თუმნობით მოსდის ზარალი და აკლდება ცხოვრების წყარო. ეს ფული რომ ქიზიყშივე დატრიალდეს, მაშინ დიდი შეღავათი მიეცემა ხალხს. ისიც ხომ მართალია, როცა კაცს აქვს შეძლება — ფული, მაშინ შეუძლიან სწავლა მიიღოს და მეტად განვითარდეს გონება-ზნეობრივად. მართალია, ავადმყოფობა ხშირად შედეგია, მაცხოვრის სიტყვისამებრ, სულიერი დაძაბუნებისა, ცოდვებისა და ამის მოსანანებლად ძალიან კარგია და ფრიად საჭირო ლოცვა-ვედრება ღვთისა და წმიდანების წინაშე, რაიცა (ლოცვა) შეიძლება ასრულდეს ადგილობრივ ეკკლესიაშიაც, მაგრამ ამასთანავე საჭიროა სამკურნალო დახმარებაც, გონივრული წამლობა, თორემ თუ სნეულს მარტო მკითხავის მიერ ნალოც კენჭების ნარეცხი წყალი ასვეს და წარა-მარა ატარეს აქეთ იქით შორს გზაზედ კურატების დასაკლავად, — მაშინ ხორციელ უძლურებას და გადამდებ სენის გავრცელებას ფართო გზა ეძლევა.

მართალია, ჩვენი ქიზიყი სხვა საქართველოს კუთხეებს ცოტათი მაინც სჯობია მითი, რომ გომები შინ, სოფელში, არა აქვთ, საქონელთან ერთად ერთს ოთახში არა სცხოვრობენ, მაგრამ თავისი წმინდა კარ-ეზოებით და ოჯახური სუფთა ცხოვრებით ვერ დაიკვეხნის, და თავს ამით ვერ იმართლებს, რომ ჭუჭყიანი ცხოვრება სიღარიბის ბრალიაო, რადგან შეიძლება კაცი ღარიბი იყოს და სუფთად კი იცხოვროს, ოღონდ კი იშრომოს და მოისურვოს ცოდნის შეძენა სუფთად ცხოვრების შესახებ.

დროა გამოვფხიზლდეთ ამ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულში მაინც, დავეწაფნეთ განათლებასა, ვიხმაროთ ჩვენი კეთილ დღეობის და ჯანმრთელობისათვის საშუალებანი. დროა ავმართოდ დროში ძმობა-სიყვარულისა, მხნეობისა, საქმისადმი მუყაითობისა ꝺ ერთობისა, ვინაიდგან იქ, სადაც ერთს კაცს ვერ ძალუძს გაკეთება, აღსრულება და დადგინება რაიმე კეთილ-სასარგებლო საქმისა, იქ შეერთებულ ძალას, მთელს საზოგადოებას, შეუძლიან მრავალი სასიქადულო საქმე განახორციელოს.

ასაცილებლად ხორციელთა ტანჯვა-უბედურებათა, ჩვენ, ქიზიყელებს, დღეს ღვთისა და მთავრობის და ზოგიერთ აქაურ უანგარო მუშაკთა წყალობით დაგვიარსდა სამკურნალო, რომლის კურთხევა-გახსნისთვის არიან ეხლა შეკრებილნი სამღვდელონი და საერონი. აქ დაესწრო თვით ტფილისის გუბერნატორი, საგუბერნიო მკურნალი ტიტე სიმონის ძე ქიქოძე და მაზრის უფროსი, რომელთა შემწეობით და დახმარებით იხსნება ქსენონი. ამ პატიოსან გვამთა, ხალხის ცხოვრების სათავეში მდგომთა დასწრება დღევანდელ დღესასწაულზედ მომასწავებელია იმისა, რომ მათ შესტკივათ გული მდაბიო ხალხისათვის, რომლისათვისაც ჰსურთ წარმატება და კეთილ დღეობა. მაშასადამე ეს გარემოებაც ერთი საბუთია იმისი, რომ, ჩვენდა სასიხარულოდ, იდღეგრძელებს ჩვენი ქსენონი, რომლის მახლობელ გამგედ დაგვენიშნა ახალგაზდა, სანდო, განათლებული, დაუზარელი, მხნე და კეთილ-სინიდისიერი კაცი-ექიმი თავადი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე დიასამიძე.

იმედია, ამის შემდეგ ეს დაწესებულება მოგვცემს ჩვენ დიდს შველასა და შვებასა; გვიხსნის უდროვო, ულმობელ და შეუწყნარებელ სიკვდილისაგან და ამით ქიზიყს ბევრს გამრჯე და მუშა ხელს შეჰმატებს.

მაშ, ჭეშმარიტად, დღევანდელი დღე დიდად შესანიშნავი და სასიხარულო ყოფილა მთელის ქიზიყისათვის, რომლის მატიანეში ქსენონის გახსნას ექნება მუდმივი ხსენება და აღიბეჭდება მისი დაარსება მსხვილის ასოებით.

მთელი ქიზიყის განათლებული საზოგადოება და მდაბიო ხალხი მოვალეა ხელი შეუწყოს ქსენონს, მის გაფართოებას და გაძლიერებას.

ზოგიერთა განათლებულ ქვეყნებში, როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, თვითეულ ექიმზედ მოდის იმდენი სული, რამდენიც აქ მრევლი მოსდის თითო მღვდელს, ე. ი. 1400—1800 სული. რა თქმა უნდა, იქ რაოდენობა სნეულობისა და სიკვდილისა ნაკლები იქმნება, ვიდრე ჩვენში, სადაც ბრძოლა სენთან უფრო ძნელია და გაუწდომელი. რადგან აქაურ მკურნალს მოსავლელად ხვდა 33,000 სული. ამისათვის დიდად სასურველია, რომ აქაურმა შეერთებულმა, განურჩევლად სქესწოდებისა, საზოგადოებამ მოიწვიოს კიდევ თუ ექიმი არა, რაიც დიდად სასურველია, ორი ფერშალი და უსათუოდ ექიმი ქალი-ბებია, რომლის გადაუდებელი და დაუყოვნებელი საჭიროება ჩვენთვის ეგოდენ ცხადია, რომ განმარტება აღარ უნდა. ავასრულებთ რა ამას, მაშინ მეტს ჯანმრთელობას შევსძენთ ჩვენსავე თავს, ჩვენს სხეულს.

ამასთანავე ისიც უნდა აღვნიშნოთ და ვიქონიოთ მხედველობაში, რომ რაც გინდ უმაღლეს ხარისხის მექონნი გავხდეთ, რაც გინდა ხორციელი სიამოვნება მოგვეცეს, რაც გინდ სიმდიდრეში და განცხრომითი ცხოვრებაში ვიყვნეთ, არ უნდა დავივიწყოთ ღმერთი და მისი წმიდა სჯულის მოთხოვნილება. არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი სულიერი მდგომარეობა, შინაგანი გულის ნადებნი, მოძრაობა-მისწრაფებანი და მიდრეკილებანი, რომელნიც უკეთუ ჩვენ მიერ განსჯა-აწონ-დაწონისა შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცუდნი და წინააღმდეგნი გამოდგა ქრისტიანული ცხოვრებისა, უნდა განვიშოროთ გულიდგან და არ უნდა ვიყვნეთ შურიანი და არა-მოწყალენი, არამედ მოყვასის მოყვარენი, ვითარცა თავისა თვისისა. არ უნდა მოვინდომოთ სხვისთვის ის, რაც ჩვენი თავისთვის არ გვინდა, უნდა ვიყვნეთ ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის, და ამ გვარად ხორციელ ზრუნვასთან ერთად ვიქონიოთ ზრუნვა მომეტებულად სულიერ განსპეტაკებაზედ. თუ ამას შევასრულებთ, მაშინ იქმნება ჩვენი არსების გარმონიული მსვლელობა, მწყობრი ცხოვრება, მაშინ შევიქმნებით ღვთისა და კაცის მასიამოვნებელნი, გავხდებით ბედნიერნი სულიერად და ხორციელად, რა ნაირი ცხოვრებაც ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩვენმან, მეოხებითა დედისა თვისისა—მფარველისა ივერიისა და ქართველთ განმანათლებელის წმიდა ნინოსითა, მოგანიჭოსთ თქვენ ყოველთა. ამინ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

მოახლოვდა შემოდგომა, სწავლის დაწყების დრო, და, როგორც ყოველთვის, ეხლაც სალაპარაკო საგნად სასწავლებლები და ამ სასწავლებლებში ბავშვების შეყვანა გახდა. საითაც გაივლით, ყველგან იმას გაიგონებთ, რომ უადგილობისა გამო ჩემი ბავშვი სასწავლებელში არ მიიღესო. მრავალ დედ-მამას ჩამოჰყავს სოფლებიდგან ბავშვები, მაგრამ იმავე უადგილობისა გამო, უკანვე აბრუნებს. აწ არსებული სასწავლებლები მსურველთა თითქმის მესამედსაც ვერ აკმაყოფილებს, და ეს არა მარტო ჩვენში, თვით შიდა რუსეთშიაც, სადაც სასწავლებელთა რიცხვი გაცილებით მეტია. აი, მაგალითად რასა სწერს რუსული გაზეთი „Русскія Вѣдомости“:

„არსებულ სასწავლებელთა სიმცირე ქრონიკულ სენად გარდაიქცა ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში. ყოველ სამოსწავლო წლის დაწყებისას ერთი და იგივე ხდება, ერთისა და იმავე მოვლენის მოწმენი ვხდებით: უბინაობა ახალგაზრდობისა, სწავლასა და ცოდნას მოწყურებული, სკოლის გარეთ რჩება. სწავლის ფასის სიძვირის, საკონკურსო ეგზამენებისა და სხვა მრავალ დამაბრკოლებელ მიზეზების მიუხედავად სასწავლებელში შესვლის მსურველთა რიცხვი ყოველ წლიწადს ორჯელ და სამჯერ მეტია თავისუფალ ადგილების რიცხვზედ. მდგომარე სამოსწავლო წლიწადი წინა წლებს არაფრით არ ჩამორჩება. ყოველ ფოსტას ახალი და ახალი ამბავი მოაქვს იმისა, რომ ამა და ამ სასწავლებელში მსურველთა ნახევარიც არ იქმნა მიღებული. ავიღოთ თუნდა უმაღლესი სპეციალური სასწავლებლები: სატეხნოლოგიო ინსტიტუტში შესვლა მოისურვა 1050 ყმაწვილმა კაცმა, თავისუფალი ადგილი-კი სულ 260 არის: საინჟინრო ინსტიტუტში 800 კაცმა შეიტანა თხოვნა, მიიღება-კი სულ 115 კაცი; სატყეო ინსტიტუტში 100 თავისუფალი ადგილია, თხოვნა-კი 500 კაცმა შეიტანა. გვყავს სამთო, საელექტროტეხნიკო ინსტიტუტებს, პოლიტეხნიკუმებსა და სხვა სპეციალურ სასწავლებლებში. ერთს თავისუფალს ადგილზედ 5—7 კაცია მთხოვნელი. დედათა უმაღლეს კურსებზედ 515 ქალმა მოისურვა შესვლა, მიიღებენ-კი მხოლოდ 215 ქალს.

ასეთსავე, თუ არ უფრო გაჭირვებულს, მდგომარეობაში არიან საშუალო სასწავლებლებში შემსვლელნიც. აწინდელი გიმნაზიები და რეალური სასწავლებლები მთხოვნელთა მესამედსაც ვერ აკმაყოფილებს. სამწუხარო უმთავრესად ის არის, რომ სკოლის გარედ რჩებიან მშვენივრად მომზადებულნი და სასწავლებელში შესასვლელად კარგად გაწვრთნილნი. რაც შეეხება პირველ-დაწყებითს სკოლებს, ამ სკოლების სიმცირის შესახებ იმდენი დაწერილა და იმდენი თქმულა, რომ ჩვენ ვედარაფერს მოუმატებთ.

## რუსეთი

—

— უმაღლესმა მთავრობამ ბრძანება გასცა, ქალაქის თვით-მმართველებმა თავისს დროზედ წარუდგინონ ხოლმე როგორც შინაგან საქმეთა, აგრეთვე ფინანსთა სამინისტროებს სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვანი. ეს ხარჯთ-აღრიცხვანი სამინისტროებს სჭირდებათ ხოლმე ქალაქების სხვა და სხვა შუამდგომლობების განხილვის დროს.

— ამ რამდენისამე ხნის წინად მთავრობამ დაადგინა, იმ საშუალო სასწავლებლის მოსწავლეებს, რომელთამამებიც მასწავლებლებად არიან ორ და ერთ კლასიან სასოფლო სკოლებში, სწავლის ფასი არ გამოერთვათ. ეხლა, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, საერო განათლების სამინისტრომ ასეთივე უფლება მიანიჭა იმ მასწავლებლების შვილებსაც, რომელნიც რუსეთის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოების სკოლებში მსახურობენ.

— როგორც „Варш. Вѣд.“-ი იუწყება, ვარშავის უნივერსიტეტის წესდება შეცვლილ იქმნა.

— გზათა სამინისტროს აზრადა აქვს დააწესოს სარკინიგზო სავაჭრო სასამართლო. ამ სასამართლოს წევრებად იქმნებიან ყველა სამინისტროს წარმომადგენელნი. სასამართლომ უნდა გაარჩიოს ხოლმე საჩივარი, რომლებშიაც რკინის გზებს ედავებიან.

— მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ დაადგინა ფულით დააჯილდოვოს ხოლმე სამრევლო სკოლის ის მასწავლებელნი, რომელნიც სამაგალითოდ და საუკეთესოდ გამოჰკვებავენ აბრეშუმის ჭიას და აბრეშუმს დაამზადებენ.

— ამ დღეებში 25 წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც ყაზანის საბეითალო ინსტიტუტი იქმნა დაარსებული. ამ დღის სახსოვრად აზრადა აქვთ ყაზანში მოახდინონ სრულიად რუსეთის ბეითალთა კრება. ეს კრება პირველი საზოგადო კრება იქმნება რუსეთის ბეითალთა.

— გამოცხადებულ იქმნა კონკურსი სამრეწველო სკოლებისათვის სახელმძღვანელოების შესადგენად.

— იმ სემინარიელთა გამოცდა, რომელთაც აზრადა აქვთ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტზედ შესვლა, დაიწყო 20 აგვისტოს.—15 აგვისტოს დასრულდა თხოვნების მიღება საელექტრო ტეხნიკო ინსტიტუტში. სულ 425 ყმაწვილმა კაცმა განაცხადა სურვილი იქ შესვლისა, ვაკანსია-კი 60-ია. გამოსაცდელი ეგზამენები ინსტიტუტში დაიწყება პირველ სექტემბერს.

როგორც ისმის, განზრახვა აქვთ, რომ სამხრეთ რუსეთში ახალის სახის სამრეწველო სასწავლებლები დაარსონ, რომელთაც საშუალო სასწავლებელთა პროგრამა ექმნებათ.

— საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ ებრაელთა პირველ-დაწყებითის სასწავლებლის მმართველს არ შეუძლიან ისარგებლოს სახელმწიფო სამსახურის უფლებებით იმ შემთხვევაშიაც-კი, როცა მას სამეცნიერო ხარისხის მოწმობა აქვს.

— მიწად-მოქმედების სამინისტრომ, სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, ნება დართო დაბალ სამეურნეო და სამიწად-მოქმედო სასწავლებელთ მიიღონ პრაქტიკანტებად გარეშე პირნი იმ შემთხვევაში, როცა აღნიშნულ სასწავლებელთა საპედაგოგიო საბჭოები ამას შესაძლებლადა სცნობენ.

— ახალის გერბის წესდების პროექტი, გაზეთების სიტყვით, წარდგენილ იქმნება სახელმწიფო საბჭოში შემოდგომაზედ.

— როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, გზათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ გაუმჯობესებულ და გაწესრიგებულ იქმნას ის გზები, რომლითაც სოფლის ნაწარმოები მიაქვთ რკინის გზის სადგურებზედ.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** ზოგიერთები თხოულობენ საფრანგეთში, რომ ცრუ-მოწმობისა და ყალბი ქაღალდების შედგენისათვის გენერალი მერსიე და ზოგიერთი სხვა მოწმეები პასუხის გებაში მისცეს მთავრობამაო. ამ საგნის შესახებ ოფიციოზური წერილი დაბეჭდილი „ფიგარო“-სა და „მატენ“-ში, რომელიც იუწყება, რომ მთავრობას წინანდებურად საჭიროდ მიაჩნია, სანამ რენის სასამართლო დრეიფუსის საქმეს არ გადასწყვეტს, მანამდე ხსენებულ საქმის არც ერთი მოწმე არ მისცეს სამართალში, თუნდაც დიდი სიყალბე ჩაედინოს, როგორც მოწმესო.

— „ტაიმს“-ის აზრით, ყოვლადვე აშკარა გარეშე, რომ 1894 წელში დრეიფუსი გამტყუნებულ იქმნა ისეთ საბუთების ძალით, რომელნიც უკანონოდ წარუდგინეს სასამართლოს. ამ საბუთებში იყო არამზადა ანრისა და პატი დე-კლამის მიერ შედგენილი შენიშვნა, რომელიც შემდეგ მერსიემ მოსპო და ამით უკანონობა ჩაიდინა; ორი საბუთის ქაღალდი, როგორც საზოგადოდ ცნობილია, დრეიფუსს სრულებით არ შეეხება; მეოთხე ქაღალდი წარმოადგენს საიდუმლო ნიშნებით დაწერილ დეპეშის ბრუნდს თარგმანს, უარ-ყოფილს საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს მიერ. ამ მეოთხე საბუთის ქაღალდებს რომ თავი დავანებოთ,—ამბობს გაზეთი,—რომელთა შინაარსი, ღირსება და მნიშვნელობა ჩვენ კარგად ვიცითო, სხვა არავითარი ისეთი საბუთი არა ყოფილა წარმოდგენილი, რომელიც, რობერტ პილის თქმისა არ იყოს, არა თუ ადამიანის გასამტყუნებლად, არამედ ძაღლის დასახრჩობადაც საკმარისი იყოსო. იმავე გაზეთის სიტყვით, ყოვლადვე აშკარა გარეშე, რომ ნამდვილი დამნაშავე, რომელიც რენის სამხედრო სასამართლოს წინაშე ზის, დრეიფუსი-კი არ არის, არამედ მერსიე. ამ უკანასკნელის უკანონო საქციელი ცნობილია, შემოწმებული და დამტკიცებული. დრეიფუსი კიდევაც რომ მოღალატე იყოს ქვეყნისა, მერსიე მაინც დამნაშავეა, როგორც დამრღვევი კანონებისაო.

— ზოგიერთი გაზეთები კითხულობენ—სად სცხოვრობს უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში ორლეანის ჰერცოგიო? და თითონვე საოცარს აშკარას სცხადებენ თავიანთ კითხვის შესახებ: გერენთან ერთად ხომ არ არის „შაბროლის ციხეშიო“.

—

**ბელგია.** ხმა დადის, რომ საფრანგეთის ტახტის მაძიებელი—ორლეანის ჰერცოგი ამ მოკლე ხანში ბელგიაში უნდა მივიდესო. ეს ამბავი დიდად აღონებს ბელგიის მთავრობას, რადგან ბელგიის ინტერესებისათვის საზიანოდ მიაჩნია, რომ იქ პოლიტიკური მოძრაობა მოხდეს საფრანგეთის წინააღმდეგ. ბელგიელები წინააღმდეგობის გაწევას აპირებენ, ჰერცოგი თუ მართლა მოვიდა იქ. ერთი გაზეთი ამტკიცებს, რომ ბელგიელები ერთს წუთსაც არ აცხოვრებენ საფრანგეთის ტახტის მაძიებელს ბელგიაშიო, და თავის მხრით ურჩევს მთავრობას—საზღვარზედ გააფრთხილეთ ჰერცოგი და ბელგიაში ნუ შემოუშვებთო.

— საფრანგეთის ანტისემიტთა დასის ერთი შესამჩნევი წევრი—მაქს რეჟისი ბელგიის მთავრობას ბელგიიდგან განუდევნია.

—

**ავსტრია.** მთავრობის მოწინააღმდეგე ნემცები, რომელთაც ამას წინად დემონსტრაცია მოახდინეს სხვა-და-სხვა ქალაქებში, გრაფ ტუნის სამსახურიდგან გადადგომას თხოულობენ; წინააღმდეგ შემთხვევაშიო,—იმუქრებიან ისინი,—ისეთსავე უწესობას მოვახდენთ შუაგულ ავსტრიის ქალაქებშიაცო. ოპოზიციის მომხრე გაზეთში—„Köln. Ztng.“-ში აი რა სწერია: „ნუ თუ იმას ელოდებიან, რომ უწესობა, რომელიც განაპირა ქალაქებში მოხდა, უმთავრეს ქალაქშიაც ასტყდეს? უკმაყოფილონი აქ ბევრად მომეტებულია, ვიდრე სხვაგან სადმე. გრაფი ტუნი შესცდება, გრაფ ბადენივით იმ აზრს თუ დაადგება, რომ არჩევნების წეს-რიგში ცვლილების შესატანად ლიუგერს მოკიმხრობ. ლიუგერიც და თვ. ლიხტენშტეინიც ტუნის სამინისტროს დაცემას ხელს შეუწყობენ ისე, როგორც ოპოზიციის დანარჩენი წრეები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახალს სამინისტროში მათაც წილი ექნებათო“.

—

**ამერიკა.** შეერთებულ შტატების პრეზიდენტს—მაკ-კინლეის ხელი მოუწერია მანიფესტზე, რომელიც კუბის მცხოვრებთა საყურადღებოდ უნდა გამოაქვეყნოს შტატების მთავრობამ. მანიფესტში მოხსენებული ყოფილა, რომ კუბას საზოგადო საკანონმდებლო არჩევნების უფლება მიენიჭებაო მიმდინარე წლის გასულს, როცა ხალხის აღწერა დამთავრდებაო. კუბას ეყოლება საკუთარი მთავრობა და სრული დამოუკიდებლობა მიენიჭებაო.

## სასამართლოს მატიანე

### მოწამვლის საქმე

21 აგვისტოს ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის განყოფილებაში გაირჩა საქმე თიონეთის მაზრის სოფ. ფხაკალქურის გლეხის ქალის თინა ბართიშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა იმავე სოფლის გლეხის ქალის ბაბალე ბართიშვილის მოწამვლა. ამ საქმის გარემოება საბრალმდებლო ოქმით შემდეგია. 1896 წლის დეკემბერში უეცრად გარდაიცვალა იმავე მაზრის სოფ. საგიროში გლეხის ქალი ბაბალე ბართიშვილი, სრულიად ჯანსაღი ადამიანი. მკურნალის შემოწმებით გარდაცვალებული დარიშხანით იყო მოწამლული. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ გარდაცვალების დღეს ბაბალე სტუმრად იყო ბრალდებულ ქალისას. ტასია ბართიშვილისას და ელენე დინგაშვილისას და გლეხებს მართაზაშვილსა და მაჭმადაშვილს დაენახათ, რომ ბრალდებულს ჭიქით არაყი მიეწოდებინა ბაბალესათვის, რომელიც მალე ამის შემდეგ ცუდად გამხდარა. იმავე ბოთლიდგან არაყი დაელიათ სტუმრებსაც. იმავე დღეს ბაბალე გარდაცვლილა. მოწმეთა ჩვენებით დამტკიცდა, რომ ბრალდებულ ქალს რამდენისამე ხნის განმავლობაში კავშირი ჰქონია ვიღაც ზარიძესთან და ეს ამბავი ბაბალეს ბრალდებულის ქმრისათვის შეუტყობინებია, რომელიც ამის შემდეგ ხშირად თურმე სცემდა ცოლს. რათა ზარიძისათვის შური ეძია, თინა ბართიშვილს გარდაუწყვეტია ზარიძის მოწამლვა, რისთვისაც გლეხის ქალების მაიკო და მარო დინგაშვილებისათვის უთხოვნია, აჭამეთ ზარიძეს ჩემგან მომზადებული საწამლავიო. ქალებს უარი განუცხადებიათ.

ტფილისის ოლქის სასამართლოში ამ საქმის გარემოება დამტკიცდა მოწმეთა ჩვენებით, სასამართლომ ბრალდებულის-მიერ ბაბალეს მოწამლვა დამტკიცებულად ჩასთვალა, ამის გამო დამნაშავედა სცნო ამ საქმეში თინა ბართიშვილი (33 წლისა) და მიუსაჯა ყოველ უფლების აყრა და 10 წლის კატორგა.

სამოსამართლო პალატაში ბრალდებულის დამცველმა ნაფ. ვექ. ე. მ. ტურკევიჩმა ბრალდება დამტკიცებულად არა სცნო, იმიტომ რომ ექსპერტიზას არ გამოურკვევია, თუ რამდენი დარიშხანა აღმოჩნდა გარდაცვალებულის გვამში; რომ ზარიძეს იმ დღეს ვერ მოსწამლავდნენ, როცა ბრალდებულს სტუმრები ჰყავდა, რადგან მოწმეთა ჩვენებით ყველა ისინი ერთი და იმავე ჰურჭლიდგან და ერთი და იმავე ჭიქით სვამდნენ არაყს; რომ მოწმეთა ჩვენება ზარიძის სიყვარულის შესახებ ხმებსა და ჭორებზეა დამყარებული; რომ ის ამბავი, ვითომ ბრალდებულს ზარიძის მოწამლვა ეთხოვოს ვისთვისმე, სინამდვილეს მოკლებულია, რადგან თინას რომ ზარიძეს მოწამლვა ჰსურვებოდა, თითონვე მოახერხებდა ამას; სიმართლეს მოკლებულია ისიც, ვითომ განსვენებული ბაბალე სრულიად ჯანსაღი ქალი ყოფილიყოს, რადგან გამოირკვა, რომ ეს ქალი წინა ღამით გულის კოვზთან ტკივილსა ჰგრძნობდა. ყოველისავე ამის

გამო დამცველმა ითხოვა უდანაშაულოდ ეცნოთ და გაემართლებინათ თინა ბარტიშვილი.

სამოსამართლო პალატამ ხანგრძლივის თათბირის შემდეგ დაადგინა: ბრალდებული უდანაშაულოდ იქმნას ცნობილი და ოლქის სასამართლოს განაჩენი გაუქმდეს.

---

## დამაკვირდი

მარხვაჲ არა ხოლო ჭამადთა შინა შემოისაზღვრების, არამედ უოკლისა ბოროტისა განყენებასა.

თეოდორე სტუდიელი

* * *

ვითარ შვენიერ არს და თვალ წარმტაც მწიფე და სრული მტევანი ყურძნისა, ეგრეთვე იგულეთ დიდი და სიყვარულით განმტკიცული კერა პაპებისა და პაპის-პაპებისა, მამისა და მამის ძმებისა, შვილისა და ბიძაშვილებისა, წულისწულისა და ბიძაშვილების წულებისა, და მათთა მეუღლეთა და თვისობართა. კერასა ამგვარს ახლავს ლოცვა და კურთხევა უფლისა, სიმტკიცე და სიძლიერე შინაგანი, ტკბილი და დაუშრეტელი საზრდო სულიერი და ხორციელი.

ლასურიძე

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად ამერიკის შტატს ინდიანში შემდეგი სამწუხარო ამბავი მომხდარა: ვინმე ქ-ნ ვალდვინს, დამზღვევ საზოგადოების აგენტის ცოლს სტრიხინით მოუწამლავს თავისი ქმარი და შვილები—თვრამეტის წლის ვაჟი და თხუთმეტის წლის ქალი. მთელი ოჯახობა სადილს შეექცეოდა თურმე; ამ დროს ქ-ნი ვალდვინი მეორე ოთახში გასულა, შამოუტანია იქიდგან სტრიხინი და ქმრისა და შვილების შეუმჩნევლად იმათ საჭმელში აურევია; შემდეგ თავისს ოთახში ასულა და რევოლვერით თავი მოუკლავს. რაწამს სადილი გაუთავებიათ, ბ-ნ ვალდვინს საშინელი ტკივილი უგრძვნია, ცოტა ხანს უკან ტკივილი ქალსაც ავარდნია. შეშინებული ვაჟი მაშინვე იქვე მახლობელ ექიმთან გაქცეულა, მაგრამ, უამბნია თუ არა ყველაფერი, თითონაც უგრძნობელი იატაკზედ დაცემულა. ექიმს ეტლში ჩაუსვამს ავადმყოფი და მამის სახლში წაუყვანია. მამა და ქალი უკვე შხამ გარეულები უგრძნობელნი იატაკზედ იწვნენ. ექიმს წამლობა დაუწყვია, მაგრამ უნაყოფოდ. ვერაფრით ვერ გაუგიათ ამ სამი ადამიანის მოწამვლის მიზეზი. ზოგი ამბობს, რომ ქ-ნი ვალდვინი სულით ავადმყოფი იყოო, თუმცა ამ სამწუხარო საქმის ჩადენამდე ავადმყოფობისა არაფერი ეტყობოდაო.

* * *

წარსულ ივლისის 19-ს ლონდონში, როგორც გაზეთები იუწყებიან, საოცარი სიცხე ყოფილა თურმე. არავის არ ახსოვს, რომ ლონდონში როდისმე ისეთი სიცხე ყოფილიყოს, როგორიც ცხრამეტს ივლისს იყო. ამ დღეს ქუჩაში 200-ზედ მეტი კაცისა და ქალისთვის დაუკრავს მზეს; ამათში თორმეტი იქვე გამოჰსალმებია წუთისოფელს.

* * *

ევროპის უმაღლესს მწვერვალზედ—მონბლანზედ 11 აგვისტოს ასულა ცამეტის წლის ბავშვი—სტეფანე სეიბორ სეილსკი. ბავშვს თან აჰყოლიან აღმზრდელი და გზის მაჩვენებელი. ეს მეორე ბავშვია თურმე, რომელიც ამ მაღალ მთაზედ ასულა. აღმზრდელის სიტყვით, ბავშვს მთელი გზა ყოჩაღად გაუვლია და დაღალვა თითქმის არ უგრძვნია.

* * *

ინგლისში საოცარის სისწრაფით მრავლდება თურმე სულით ავათმყოფთა რიცხვი. როგორც „Hamb. Nachr.“-ის მიერ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, 1869 წლიდგან ინგლისის მცხოვრებთა რიცხვს 43°/₀ მოემატა, ხოლო სულით ავათმყოფთა რიცხვს 105°/₀. უაიტჩეპელის ოლქში, სადაც მცხოვრებთა რიცხვი სულაც არ გამრავლებულა, 1869 წელს 176 სულით ავათმყოფი იყო, ამა 1899 წელს-კი 393-ია. სულით ავათმყოფთა გამრავლების მიზეზად უმთავრესად ლოთობის, ალკოჰოლიზმის გავრცელება მიაჩნიათ.

* * *

ოდესსაში, როგორც ერთი რუსული გაზეთი იუწყება, პოლიციას აღმოუჩენია მთელი დასი მცირე-წლოვან ქურდებისა. წინამძღოლად ამ დასს ჰყოლია 12 წლის ქალი ა. ვოროზიევისა, რომელიც მარტო ამ მიმდინარე წელს 15 ჯერ ყოფილა სამართალში მიცემული ქურდობისათვის. ამავე დასის წევრები ყოფილან: მ. ბურუკოვისა—13 წლისა, მასალვინა—12 წლ. და დ. კონდრატოვისა—9 წლისა. როდესაც უკანასკნელად ჩადენილ ქურდობის გამო ეს ბავშვები სასამართლოში დაუბარებიათ, მოსამართლეს უკითხნია ვორობიევისათვის: „ეს მერამდენედა ხარ სამართალში მიცემულიო“,—„არ მახსოვს, მგონი, თხუთმეტჯერ თუ ოცჯერაო“, მიუგია სიცილით ქალს. ამ ქალის მამას ეს მეორედ გადაუწყვიტა სასამართლომ ციხეში დაპატიმრება ერთის თვით იმის გამო, რომ თავისს ქალის ყოფაქცევას თვალ-ყურს არ ადევნებდა. საქურდავად ოთხნივენი ერთად მიდიოდნენ თურმე. ვორობიევისა უმეტესს ნაწილად თავისს ამხანაგებს გარედ აყენებდა დარაჯებად, თვით-კი სახლში შედიოდა და იპარავდა, რაც მოჰხვდებოდა. ძვირფას ნივთებს ერთმანეთში ინაწილებდნენ, მოპარულის ფულით-კი ხილს და მაროჟნის ყიდულობდნენ და ქალაქს გარედ შეექცეოდნენ ხოლმე.

---

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 აგვისტო

**რენნი.** სასამართლომ მოისმინა ჩვენება გარპმაკისა. სერბიელმა ჩერნუსკიმ განაცხადა, რომ რამდენისამე ხნით ადრე დრეიფუსის დაპატიმრებამდე გავიგე ერთის უცხო-ქვეყნელის აფიცერისაგან, რომ დრეიფუსი საფრანგეთიდგან სხვა სახელმწიფოებს ცნობებს უგზავნიდა. აფიცერმა მაჩვენა ქაღალდები, რომელიც მობილიზაციასა და ჯარის გადაყვანას შეეხებოდა. ყოველივე ეს გადავეცი სამინისტროში მყოფ აფიცერს, რომელმაც ამ საქმის გამო ოქმი შედგინა. მთავრობის კომისარმა მოითხოვა, რომ ხალხის დაუსწრებლად ჩამოერთვას ჩვენება ჩერნუსკისაო.

24 აგვისტო.

**პეტერბურგი.** შავის ჭირის საწინაალმდეგო კომისია აცხადებს, რომ 6 აგვისტოს თავმჯდომარე კომისიისა პრინცი ოლდენბურგისა წავიდა იმ ადგილას, სადაც ავადმყოფობა გაჩნდა და დაბრუნებისას აუწყა კომისიას შემდეგი ცნობები: პირველად ავადმყოფობა ასტრახანის გუბერნიის ცარევსკის მაზრის სოფ. კოლობოვკაში გაჩნდა 16 ივლისს და ამ დღიდგან ავად გახდა 24 კაცი, გარდაიცვალა 23 უკანასკნელად ავადმყოფი გარდაიცვალა 12 აგვისტოს 9 ივლისიდგან ავად არავინ გამხდარა, ამ ჟამად მხოლოდ ერთი ქალი ავად, რომელიც, როგორც ეტყობა, მორჩენის გზას ადგია. ავადმყოფობა ამ სოფელში შემოტანილია, მაგრამ საიდგან ჯერ, ჯერ გამოკვლეული არ არის. მისმა უმაღლესობამ შესაფერი ზომები მიიღო: სოფელი კოლობოვკა და იმის გარშემო მდებარე მინდვრები სრულიად მოწყვეტილ იქმნა დანარჩენს ქვეყანას. შეუდგნენ აგრეთვე ასტრახანის გუბერნიის სანიტარულის მხრივ გამოკვლევას. ამასთან აღმოჩნდა, რომ დასახელებულ სოფელს გარდა საშიში, გადამდები ავადმყოფობა არსად არ არის. ავადმყოფობა 3 აგვისტოდგან შესუსტდა, ხოლო 10 აგვისტოდგან სრულიად მოისპო. რაც შეეხება ავადმყოფობის გამოკვლევას, განსაკუთრებული კრება იქმნება გამართული სამკურნალო საბჭოს წევრებისა და სხვა მცოდნე კაცთაგან მისის უმაღლესობის თავმჯდომარეობით. ამ კრების მიერ გამოთქმული აზრი ავადმყოფობის შესახებ თავისს დროზედ იქმნება გამოცხადებული.

**პარიჟი.** პრეზიდენტმა ლუბემ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლის ძალითაც უმაღლესი სასამართლო 6 სექტემბერს უნდა იქმნას მოწვეული.

**კოპენჰაგენი.** (ამ დეპეშამ დაიგვიანა). ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი იმპერატრიცა დღეს დილით მობრძანდნენ. ბელგიაში მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ მიეგებნენ დანიის სამეფო გვარეულობის ყველა წევრნი.

**რენნი.** გონზსა და ლაბორის შორის კამათი გაიმართა საიდუმლო dossier-ის შესახებ. ლაბორიმ თავისი გაკვირვება გამოაცხადა იმის გამო, რომ საიდუმლო dossier-ში არ არის შეტანილი რომში მყოფ საფრანგეთის ელჩის დეპეშა, რომელიც იუწყება იმას, რომ ესტერგაზის სასყიდელი ეძლეოდაო. გონზმა სთქვა, რომ dossier-ში მხოლოდ საყურადღებო საბუთის ქაღალდებია შეტანილიო. ლაბორიმ განაცხადა, რომ შტაბში იმ საბუთის ქაღალდებს ინახავდნენ, რომელიც დრეიფუსის საწინააღმდეგო იყო და ესტერგაზის საწინააღმდეგოს კი არაო.

**რენნი.** კიუნიემ განმარტა, რომ dossier-ში არ არის შეტანილი არც ერთი ის საბუთის ქაღალდი, რომელიც საზღვარ გარეთიდგან მოდიოდაო. აი ამიტომ არ არის bossier-ში ის საბუთის ქაღალდიც, რომელშიაც ნაამბობია ნალაპარაკევი ერთის მეფის. ამ მეფეს უთქვამს საფრანგეთის სამხედრო აგენტისათვის, რომ ის, რაც საფრანგეთში ხდება, დამამტკიცებელია ებრაელთა სიძლიერისაო. როგორც ჰხედავთ, ეს ცნობა დრეიფუსის საწინააღმდეგოა. ლაბორიმ მოითხოვა, რომ ყველა ბრალდება იქმნას წამოყენებული. კიუნიემ განაცხადა, რომ დრეიფუსის შესახები ცნობები მოიპოვება ჯაშუშთა შესახების dossier-ში, რომელიც სასტატისტიკო ბიუროშიაო. ლაბორიმ მოითხოვა, რომ ყველა საბუთის ქაღალდები იქმნას წარმოდგენილი. ლაპარაკში ბილიო ჩაერია, რომელმაცა სთქვა, ტყუილია ვივიანის ნაამბობი, ვითომ მე წამელოს ვატინესა და კიუნიეს რაპორტი საიდუმლო dossier-რის შესახებ; ეს რაპორტი მე კავენიაკს გადავეციო. სასამართლომ გადასწყვიტა მოსთხოვოს კავენიაკს ეს საბუთის ქაღალდი.

**რენნი.** სასამართლომ, ჩამოართვარა ჩვენება კიდევ რამდენსამე კაცს, ერთხმად დაადგინა ხვალ ხალხის დაუსწრებლად შეუდგეს საიდუმლო საბუთის ქაღალდების განხილვას. კრება დასრულდა. დრეიფუსი მოღიმარის სახით გამოვიდა სასამართლოდგან.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ იმათ, რომელთაც 10 აგვისტოს ჩემ მიერ ქალაქ დუშეთში გამართულ კონცერტში მონაწილეობა მიიღეს. ეს კონცერტი მცხეთის ტაძრის განახლების ფონდის სასარგებლოდ იყო გამართული.

დ. ს. პავლიაშვილი

---

ამ რამდენიმე ხნის წინად სალოცავად იყვნენ არბოს წმ. გიორგის ეკკლესიაზედ ძმანი ნიკოლოოზ და მიხეილ მაისურაძენი. შეამჩნიეს რა ეკკლესიას სიღარიბე, პირველმა მათგანმა, ნიკოლოოზმა, გამართა და გაამშვენიერა ორი საეკკლესიო ოთახი, მომსვლელ მლოცავთათვის ღამის გასათევლად, რაზედაც დახარჯა თერთმეტი თუმანი ფული, და გარდა ამისა ეკკლესიას დაჰპირდა მლოცავთათვის საჭირო ავეჯეულობას: სამოვარს, ლამპრებს, ჭურჭელს და სხვ. მეორე ძმამ, პატივცემულმა მიხეილმა, აღუთქვა ეკკლესიას ათ თუმნად ღირებული დიდი შანდლები. როგორც კრებული ეკკლესიისა, აგრეთვე მლოცავნი გულითადს მადლობას ვუძღვნით პატივცემულ ძმებს მაისურაძეებს. ამ შემოწირულების შესახებ ცალკე მოხსენება იქმნება გაგზავნილი საქართველოს ექსარხოსთან.

მღვდელი გიორგი გვიმრაძე.

---


## განცხადებანი

**15 ათას მანეთად** იყიდება სახლი არტილერიის ქუჩაზედ, № 16. ნახევარი—ვალია საკრედიტო საზოგადოებისა. პირობების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ალექსანდრეს ქუჩაზედ, № 16, სახლის პატრონთან. (2—133—1)

**იძლევა** ქირით კუთხის სადგომი **საბაკალეო დუქნის გასამართავად.** სადგომს აქვს ქვითკირის სარდაფი წყლით. ალექსანდრესა და ახალ-კათოლიკეთა ქუჩების კუთხეში, № 16/18. იკითხეთ ეზოში. (2—133—1)

**ქალაქ ტფილისის გამგეობა აცხადებს,** რომ 7 სექტემბერს ამა 1899 წელს, ნაშუადღევის პირველ საათზედ, გამგეობის სადგომში მოხდება საჯარო ვაჭრობა ვერის ხიდზედ გავლის გადასახადის მოკრების იჯარით გასაცემად.

პირობების გასინჯვა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 9 საათიდგან 12 საათამდე. (3—6—3)

**აბრეშუმის ქსოვილები**

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა იყიდება **ქუთაისში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. **კუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—6.—21) ნ. წერეთელი

ჩვენ გამოცემული გვაქვს საუკეთესო

**პაპიროზის ქაღალდები**

ყაზბეგისა და მამია გურიელის სახეების ზედ გამოხატვით.

მათი ყალბი მიმსგავსება უკვე გამოვიდა.

**სიყალბეს ერიდეთ!**

სავაჭრო სახლი „ი. გოკიელოვის შვილები“, ქუთაისი. (10—8)

**საკომერციო კურსები**

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთვრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1899—1900 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზედ, აფთიაქის ბირდაპირ.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—20)


Дозволено цензурою, Тифлисъ 24-го Августа 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.